ხელშეკრულება №17

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 10 სექტემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ "ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლა"** (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გალაქტიონ მინდიაშვილი სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ავერსი-ფარმა"** , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმომადგენელი მისი გენერალური დირექტორის ირაკლი ფურცელაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია **ფარმაცევტული პროდუქტების (CVP33600000)** შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **42.47** (ორმოცდაორი ლარი და 47 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ სასაქონლო ზედნადების, მიღება-ჩაბარების აქტით ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშფაქტურით, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის სასაქონლო ზედნადების, მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. შემსყიდველი საქონლის შესყიდვას განახორციელებს შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ც. დადიანის ქ. #321 (შპს „ავერსი–ფარმა"–ს აფთიაქი), საქონლის შესყიდვის მომენტად ითვლება აღნიშნულ მისამართზე მხარეთა მიერ სასაქონლო ზედნადების გაფორმების თარიღი, რა მომენტიდანაც შემსყიდველზე გადადის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება;

4.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, არაუგვიანეს 2019 წლის 30 სექტემბრისა.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხოლო ასეთ შემთხვევში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხოლო ასეთ შემთხვევში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორს–მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - ქალაქ თბილისის №2 საჯარო სკოლა ს/კ 202887705 მის: ქ. თბილისი, მეუნარგიას 28 ტელ:2952965 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,-ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE31LB0121134133295002 **დირექტორი** _____ **გალაქტიონ მინდიაშვილი**	შპს „ავერსი - ფარმა“ ს/კ 211386695 მის.: ქ. თბილისი აღმაშენებლის ქ. N148 ტელ. 299 79 70 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE06BG0000000122932100 **გენერალური დირექტორი:** **_____/ირაკლი ფურცელაძე**

2019 წლის 10 სექტემბერს დადებული N17 ხელშეკრულების საგნის აღწერა

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთ.ფასი	საერთო თანხა
ბამბა სამედ.ჰიგრ.ქირურ.სტერ50გ	3	0.95	2.85
ბინტი 7მx14სმ არასტ.(იმპ)	5	0.75	3.75
ბინტი 7მx14სმ სტერილური	5	1.05	5.25
ვალიდოლი (მედილოლი)#10ტ(დარნ)	2	0.45	0.9
იბუპროფენი 200მგ #50ტ	1.5	3.65	5.48
კეტოროლაკი 10მგ #20ტ	1.25	1.35	1.69
კორვალოლი 25მლ #1ფლ (კიევი)	2	0.8	1.6
ლეიკოპლ."მედპლასტი"#10	10	0.25	2.5
ნიღაბი სამედიცინო #5	2	0.59	1.18
ნო-შპა 40მგ #24ტ	1	5.14	5.14
პარაცეტამოლი 0.5გ #20ტ	5	1.76	8.8
ციტრამონი პ #6ტ (რუსეთი)	16	0.15	2.4
ხელთათმანი ა/სტ.ვინL #100პ/გ	0.1	9.26	0.93

სულ: 42.47 ლარი

სსიპ ქალაქ თბილისის №2 საჯარო
სკოლის დირექტორი: /გალაქტიონ მინდიაშვილი/

შპს „ავერსი - ფარმას“ გენერალური დირექტორი: / ირ. ფურცელაძე/